

ლადო პაპავა - "ნაცმოძრაობის" ლიდერებს სხვა არაფერი დარჩენიათ, რომ დანაშაულის გამო პასუხისმგებლობაში მიცემა პოლიტიკურ ზეწოლად გაასაღონ

InterPressNews

17:44 20-12-2012



2012 წლის ეკონომიურ-პოლიტიკურ შედეგებსა და 2013 წლის ეკონომიურ პერსპექტივებზე "ინტერპრესნიუსი" ეკონომიკის დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას ესაუბრა.

- ბატონო ლადო, ეკონომიკურ საკითხებზე კი გთხოვთ გვესაუბრა, მაგრამ პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პროცესები ისე განვითარდა, შეუძლებელია მათ გვერდი ავუაროთ. კერძოდ, პრეზიდენტმა ახალ მთავრობას "მწგრეველების ბრიგადა" უწოდა" და განაცხადა, რომ "ახალ მთავრობას ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებზე შანსი არა აქვს". ქუთაისში, ქუჩაში "ნაცმოძრაობის" დეპუტატებსა და "ქართული ოცნების" მხარდამჭერებს შორის ინციდენტი მოხდა. პროკურატურამ ფინანსთა და ენერჯეტიკის ექს-მინისტრი ალექსო ხეთაგური, იუსტიციის ყოფილი მინისტრი და ამჟამად "რუსთავი-2"-ის გენდირექტორი ნიკა გვარამია, ეკონომიკის მინისტრის ექსმოდელიე კახა დამენია და "თელასის" გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი დააკავა. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ მომხდარი სასამართლოსა და მედიაზე ზეწოლად და "ნაცმოძრაობის" დევნად შეაფასა. ცნობილი გახდა, რომ "ნაცმოძრაობის" ყრილობა დეკემბრის ბოლოს გაიმართება. რა ხდება? დასავლეთში კოჰაბიტაციაზე საუბრების შემდეგ, რას შეიძლება უკავშირდებოდეს შიგა პოლიტიკაში პრეზიდენტისა და "ნაცმოძრაობის" გააქტიურება? მართლა დიქტატურაა საქართველოში, როგორც ამას "ნაცმოძრაობის" ლიდერები აცხადებენ? სავარაუდოდ, პოლიტიკური ბრძოლის რა გზა აირჩია შეტევაზე გადასულმა "ნაცმოძრაობამ და რა შედეგზეა გათვლილი მისი აქტიურობა"?

- როგორც ცნობილია, ბატონ გვარამიას არ ედავებიან "რუსთავი 2"-ს საქმეზე. მას პრობლემა შეექმნა "რუსთავი 2"-ში მისვლამდე განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით. ასე რომ, მისი დაკავება სულაც არ არის ზეწოლა ტელეკომპანიაზე. დასავლეთისათვის კი პრობლემა ის არის, რომ მისთვის ძნელია იმის აღიარება, რომ ბოლო წლებში საქართველოში კრიმინალურ მთავრობას უჭერდა მხარს. ძალიან მაღიზიანებს ახალი ტერმინი "კოაბიტაცია". ქართულში არის შესანიშნავი სიტყვები: "თანაარსებობა", "თანაცხოვრება", ბოლოს და ბოლოს შეიძლება, ასეც ითქვას - "პოლიტიკური თანაცხოვრება". ამ თანაცხოვრების წინააღმდეგი კი თავად პრეზიდენტი სააკაშვილია, რომელმაც არჩევნების წაგების შემდეგ ხმამაღლა განაცხადა, რომ ოპოზიციაში მიდის, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა. დანაშაულებრივი საქმიანობის დასაფარავად "ნაცმოძრაობის" ლიდერებს სხვა არაფერი დარჩენიათ იმის გარდა, რომ დანაშაულის გამო პასუხისმგებლობაში მიცემა პოლიტიკურ ზეწოლად გაასაღონ. უფრო მეტიც - პრეზიდენტი სააკაშვილი მუქარაზეც კი გადავიდა და საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებზე ალაპარაკდა. ის, სულ ცოტა, საკუთარი თავის გადარჩენისთვის იბრძვის, რადგან იცის, რომ საბოლოო ჯამში გარკვეული მძიმე დანაშაულები მასზეც გავიდეს. ხოლო ის, რომ დღევანდელი საპარლამენტო უმცირესობა უარს ამბობს საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენებაზე, ეს თავად "ნაცმოძრაობისათვისაა" უარესი. ეს მწარე "გაკვეთილი" ხომ უკვე ნასწავლი გვაქვს ჯერ კიდევ 2008 წელს, როცა ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს და ამით საკუთარი მნიშვნელობა დააკნინეს...

- ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით ეკონომიკურ-პოლიტიკური კუთხით 2012 წლის შედეგებს და რა მოვლენას მიიჩნევდით ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანად?

- 2012 წელი საპარლამენტო არჩევნების წელი იყო და მან დალი დაასვა მის ეკონომიკურ განვითარებას. პრაქტიკულიადაც, მთელი წელი შემოდგომის ჩათვლით მთავრობაში "ნაცმოდრობა" იყო და თავის ჩვეულ სტილში მოქმედებდა. იყო სხვადასხვა პიარ-აქცია, განსაკუთრებული აქცენტი გადატანილი იყო ახალ მშენებლობებზე. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული მშენებლობები ხარისხით არ გამოირჩევა. სააკაშვილი სულ ოცნებობდა, დავით აღმაშენებლად ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ რეალურად, "მიხეილ პრარაბად" ჩამოყალიბდა.

ეკონომიკაში 2012 წელს განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო საბანკო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა. ფაქტობრივად, ეს იყო ბრძოლა ერთი - "ქართუ ბანკის" წინააღმდეგ, მაგრამ როცა თუნდაც ერთი ბანკის წინააღმდეგ იბრძვი, საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს მთელ საბანკო სისტემას. თითქმის მთელი წელი მიმდინარეობდა პოლიტიკური მოტივით როგორც "ქართუ ბანკის", ასევე "ქართუ ჯგუფის" მიზანმიმართული გაკოტრება. ჩვენ კარგად გვახსოვს, სხვადასხვა პოლიტიკური სარჩულით "ქართუ ჯგუფში" შემავალი სხვადასხვა ფირმების დაყადაღება, ხოლო "ქართუ ბანკი" გაკოტრების პირას იყო მიყვანილი. ამასი განსაკუთრებული აქტიურობა ეროვნულმა ბანკმა გამოიჩინა.

არჩევნების შემდეგ მთავრობაში "ქართული ოცნების" პოლიტიკური გუნდი მოვიდა. ყველაზე მთავარი, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით ამ გუნდმა მოასწრო, ეს გახლავთ 2013 წლის ბიუჯეტის მომზადება და მიღება. ეს ბიუჯეტი გახლავთ თვისობრივად განსხვავებული იმისგან, რაც "ნაცმოდრობის" მმართველობის 9- წლიან პერიოდში ბიუჯეტთან მიმართებაში ხდებოდა. ის არის ბევრად უფრო გამჭირვალე, თუმცა ვერ იქნება ნაკლოვანებებისაგან დაზღვეული, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს ძალიან მოკლე პერიოდში მოუხდა მისი მომზადება. პრაქტიკულად, რაც გასაკეთებელი იყო 6-7 თვის განმავლობაში, მან 5 დღეში მოახერხა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლის ბოლოს "ნაცმოდრობის" საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან მთავრობაზე პოპულისტური შეტევები ხორციელდება. ისინი ცდილობენ, ახალ მთავრობას შეახსენოს წინასაარჩევნო დაპირებები და მას მათ შეუსრულებლობაში ადანაშაულობენ. არც ერთ დაპირებაში, რომელიც წინასაარჩევნოდ "ქართულმა ოცნებამ" გააჟღერა, მითითებული არაა მათი შესრულების ვადები. არსად არაა საუბარი იმაზე, რომ მთავრობაში მოსვლის მეორე ანაც მესამე დღეს ეს დაპირებები უნდა შესრულებულიყო. დაპირებები ახალ მთავრობას კი უნდა შევახსენოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ დაპირებების შესასრულებლად ოთხწლიანი ვადა აქვთ. საერთაშორისო სტანდარტებით მთავრობის საქმიანობის შეფასება 100 დღის შემდეგ ხდება. ჩვენს შემთხვევაში ეს ვადა თებერვლის ბოლოსთვის ამოიწურება.

არა მარტო ეკონომიკის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს მართვაში ჩვენ პრაქტიკულად მივიღეთ ორხელისუფლებიანობა, რომელსაც საფუძველი სააკაშვილმა დაუდო, როცა არჩევნებში დამარცხების შემდეგ თქვა, რომ ოპოზიციაში გადავიდა, ხოლო პრეზიდენტის გამართულ კონფერენციაზე აღნიშნა, საქართველოში ორხელისუფლებიანობა. ორხელისუფლებიანობა ვერაფერს სასიკეთოს ვერ მოუტანს საქართველოს და ორხელისუფლებიანობის პრობლემა ქვეყანას, სავარაუდოდ, მომავალი წლის ბოლომდე ექნება.

- ვინაიდან 2012 წლის 1 ოქტომბერს "ნაციონალური" მმართველობა პრაქტიკულად დასრულდა, შეიძლება საუბარი იმაზე, ეკონომიკის განვითარებისათვის წინა ხელისუფლების 9 წლიანი მმართველობის პერიოდში რომელ გადაწყვეტილებას მიიჩნევდით ყველაზე წარმატებულად და რომელს შეცდომად?

- ილუზია იმაზე საუბარი, რომ "ნაცმოძრაობის" მმართველობა დამთავრებულია. ვიდრე სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტი, აკონტროლებს ეროვნულ ბანკს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურებს, საზღვარგარეთ საელჩოებს, ქვეყნის შიგნით თვითმმართველობის ორგანოებს. არ ვთვლი, რომ სააკაშვილის რეჟიმი უკვე სრულად არის დასრულებული. ძალიან არ მინდა, რომ მოსახლეობა და, განსაკუთრებით მთავრობა მიეცეს ეიფორიასა და ილუზიას, რომ სააკაშვილი დასრულებულია. შესაძლოა, რეალობის ამგვარი აღქმა ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდეს. არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილმა გამოიყენოს უფლება პარლამენტის აპრილ-მაისში დათხოვნის შესახებ, ამიტომ მოდუნება არ შეიძლება.

რაც შეეხება იმას, ამ 9 წლის განმავლობაში პოზიტიური რა გაკეთდა. პირველი და მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ შეიცვალა საგადასახადო კოდექსი და ქვეყანაში საგადასახადო ტვირთი შემსუბუქდა. გადასახადების სახეობები და განაკვეთები შემცირდა, თუმცა მას ერთი ხარვეზი მაინც ახლავს და საშემოსავლოს გადასახადს უკავშირდება. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საშემოსავლო გადასახადი ზურაბ ჟვანიას ინიციატივით 12% გახდა, შემდეგ ის სააკაშვილმა 25%-მდე აწია, მოგვიანებით კი 20%-მდე შეამცირა.

ძალიან სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ბიზნესის დაწყების გამარტივება. ვთვლი, რომ სერიოზული წარმატებებია ელექტრონული მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. აღარ ვსაუბრობ პოლიციის რეფორმაზე, რომელიც უკვე გაცვეთილი თემაა. ასევე კარგი იყო ქვეყანაში ეროვნული გამოცდების შემოღება.

შეცდომა კი, ძალიან ბევრია, დაწყებული იქედან, რომ პრაქტიკულად დაინგრა საშუალო სკოლა, რომელიც ვერ იძლევა ჯეროვან განათლებას, უმაღლეს სასწავლებლები, ხშირ შემთხვევაში, ფორმალურად გვქვს.

აბსოლუტურად გაუგებარია, რაც ხდება უნივერსიტეტებში და რა კვალიფიკაციის ხალხი უდგას უნივერსიტეტებს სათავეში. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ პროფესორები ჩარეცხეს. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული მეცნიერება. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტები, რომელთა ხელმძღვანელობა ნათესაური კავშირით დაკავშირებული არ იყო "ნაცმოძრაობის" აქტივისტებთან, თითქმის განადგურების პირასაა, ზოგიერთი კი, საერთოდ განადგურებულია. მხოლოდ მათ მოახერხეს გადარჩენა, ვინც დაკავშირებული იყო წინა ხელისუფლებასთან. ამ 9 წლის მანძილზე ყველაზე დიდი დარტყმა მეცნიერებამ მიიღო, მაგრამ ამაზე საუბარი ყველაზე ნაკლებად არის.

უდიდესი შეცდომა, დანაშაული თუ არა, საკუთრების უფლების ხელყოფა იყო. საკუთრების უფლება ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის საფუძველია, რომელიც საბაზრო პრინციპებს ეფუძნება. როდესაც საკუთრების უფლება ილახება, როდესაც სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, ასეთ ვითარებაში ეკონომიკა ვერ ვითარდება. შეცდომები იყო დაშვებული სოფლის მეურნეობაში, რამაც ქვეყნის სოფლის მეურნეობა ღმა კრიზისამდე მიიყვანა. როდესაც ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს, სოფლად წარმოებული პროდუქცია ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ მეთედზე ნაკლებს შეადგენს. აბსოლუტურად გაუზარებელი პოლიტიკა აწარმოა წინა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის სფეროში.

"ნაციონალურ" ხელისუფლებას დიდ შეცდომად ვუთვლი იმას, რომ ყველაფერი გააკეთა, რათა საქართველოს ევროკავშირთან არ მიეღწია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმისათვის. ევროკავშირი 2008 წლიდან მოითხოვდა ჩვენგან ამ თემაზე მუშაობას. მეოთხე წელი დასრულდა და პრაქტიკულად ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგმული ჯერ არ არის. მძიმე სიტუაცია გვაქვს კონკურენციის თვალსაზრისით. ბაზარი ძალზედ მონოპოლიზირებულია. მსხვილი კომპანიები ხელისუფლებასთან ან ნათესაური კავშირებით არიან შეკრული, ან უბრალოდ სხვადასხვა გზებით ხელისუფლების ზეწოლას არიან დაქვემდებარებული.

- ეკონომიკური თვალსაზრისით რა ვითარებაში ჩაიბარა ქვეყანა ახალმა ხელისუფლებამ?

- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ სავალალოა. ქვეყანაში არის მძიმე აგრარული კრიზისი. საექსპორტო პოტენციალი პრაქტიკულად განადგურებულია. ჩვენი სავაჭრო ბალანსი გვიჩვენებს, რომ იმპორტი ექსპორტზე 3,5 ჯერ მეტია, ხოლო ექსპორტის 30% ავტომობილებსა და ჯართზე მოდის. პრაქტიკულად, "ნაცმოძრაობამ" საქართველოში წარმოების გარეშე მომხმარებლური ეკონომიკა ჩამოაყალიბა. ასეთი ეკონომიკა განადგურებისთვის არის განწირული. უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენ გადავიქეციეთ მხოლოდ მჭამელ, ანუ მომხმარებელ ერად და რეალურად დიდ არაფერს ვაწარმოებთ.

- რამდენად რეალიზებადია ეკონომიკის განვითარების საკითხებში ახალი ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებები და თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ეკონომიკის სფეროში ხუთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით?

- ვფიქრობ, რომ სავსებით რეალიზებადია, ვინაიდან ახალ მთავრობას საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური გუნდი ჰყავს. ახლა რაც შეეხება იმას, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული რას გავაკეთებდი:

1. დავაჩქარებდი ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევას. ამისათვის საჭიროა ქვეყანაში ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და სურსათ-უვნებლობის სისტემის ამოქმედება, შესაცვლელია შრომის კოდექსი, რომელშიც დაქირავებულთა უფლებები უფრო მეტად იქნება დაცული.
 2. აუცილებლად შევცვლიდი საარსებო მინიმუმის გათვლის მეთოდებს და მას უფრო რეალისტურს გავხდიდი. ავამაღლებდი საარსებო კალათის კალორიულობას, რომ იგი რეალურობის ადეკვატური იყოს. ამის შედეგად უფრო მიზანმიმართული იქნებოდა ის სოციალური პოლიტიკა, რომელიც მთავრობას ექნებოდა გასატარებელი.
 3. აუცილებლად გავაკეთებდი აქცენტს აშშ-სთან თავისუფალი რეჟიმის მიღწევის გააქტიურებაზე. 2009 წლის იანვარში ხელის მოწერა ქართულ-ამერიკულ ქარტიას. მასში აშშ გამოთქვამს მზადყოფნას, რომ საქართველოსთან დაამყაროს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. იანვარში ამ ქარტიის მიღებიდან ოთხი წელი შესრულდება, მაგრამ საქართველოს დღემდე არ იცის, თუ რას ითხოვს აშშ ჩვენგან თავისუფალი ვაჭრობის მისაღებად.
 4. არანაირად არ ჩავერეოდი იმ კომპანიების საქმიანობაში, ვისაც სურთ რუსეთის ბაზარზე შესვლა. ეს არ უნდა იყოს ხელშემლი მთავრობის მხრიდან.
 5. მთავრობის საქმე არ არის ენერგეტიკის ტარიფების განსაზღვრა. ეს მისი სერიოზული შეცდომაა. ტარიფების დასაწევად "ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობამ მთავრობასთან ერთად უნდა შეცვალოს ის კანონები, რომლებიც მარეგულირებელი კომისიების საქმიანობას უკავშირდება. ტარიფების დადგენის მეთოდებს უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, უნდა შეიზღუდოს ზედმეტი ე.წ. შუამავალი რგოლების ჩართვა ელექტროენერჯის გადაცემასა და განაწილებაში. აი ესაა მთავრობის საქმე და არა ტარიფების შემცირებაზე საუბარი.
- გარდა ამისა, დავაჩქარებდი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის მიღებასა და ამოქმედებას.

კობა ბენდელიანი
"ინტერპრესნიუსი"